ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვის ოქმი

ოქმი

20 ნოემბერი, 2024 წელი

საჯარო განხილვაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები, საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე ტყებუჩავა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები და საკრებულოს წევრები, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის უფროსები, ა(ა)იპების ხელმძღვანელები, მერის წარმომადგენლები უბნებში და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები.

დღის წესრიგი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: ლექსო თოდუა - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

ალექსანდრე ტყებუჩავა - საკრებულოს თავმჯდომარე

ვასილ თოდუა - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი

მერის მოადგილემ ლექსო თოდუამ აღნიშნა, რომ 2025 წლის ბიუჯეტში პრიორიტეტად რჩება ინფრასტრუქტურის განვითარება, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, გარემოს დაცვა, კულტურა, განათლება, სპორტი და ახალგაზრდობა. ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა მოსახლეობასთან შეხვედრების და პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენის დროს მოქალაქეების მიერ გამოთქმული წინადადებები.

ბიუჯეტის პროექტი, საჯარო განხილვისთვის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსმა ვასილ თოდუამ წარადგინა. მან აღნიშნა, რომ 2025 წლის ბიუჯეტის პროექტით შემოსულობების გეგმა შეადგენს 44 მილიონ 802. 2 ათას ლარს, რაც 12 მილიონ 195.0 ათასი ლარით აღემატება წინა წლის საწყის გეგმას. ამასთან მიმოიხილა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები.

ბიუჯეტის განხილვასთან დაკავშირებით დამსწრეებმა დასვეს კითხვები და წარმოადგინეს წინადადებები:

გზების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით.

წყალარინების პროექტის მიმდინარეობის შესახებ.

უპატრონო და მაწანწალა ძაღლებისთვის თავშესაფრის მოწყობის შესახებ.

მრავალსართულიანი კორპუსების ფასადების რეაბილიტაციის შესახებ.

მრავალსართულიანი კორპუსების სახურავების რეაბილიტაციის შესახებ

საბავშვო ბაღებში მიმდინარე რეაბილიტაციის შესახებ.

დაგეგმილი ახალგაზრდული ღონისძიებების შესახებ.

ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსმა და საკრებულოს თავმჯდომარემ განიხილეს განხილვის დროს დასმული კითხვები და უპასუხეს გამოთქმულ შენიშვნებს.

სხდომა შეაჯამა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლექსო თოდუამ